# სახალხო გაზეთი

№ 137 ხუთშაბათი, 21 ოქტომბერი, 1910 წ. წელიწადი ... № 131

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში, ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-იდან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახავს, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большая Ванкская ул., N 12, Семену Пашалашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

კრასნი იარში (ასტრახანის გუბერნია) გარდაიცვალა პოლიტიკური გადასახლებული

## ვიქტორ ყარამანის ძე ლოლელიანი,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს მამა ყარამანი, დედა ნინო, ძმა ლავრენტი, რძალი ეკატერინე და დები კატო აგრაფინა და გალინე ლოლელიანები. მიცვალებულს ასტრახანიდან გამოასვენებენ 20 ოქტომბერს. დაკრძალვა მოხდება ს. ქუიშს (ლეჩხუმის მაზრა). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 12.

ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა:

## ნიშანი ყოფა-ქცევაში

დრამა 4 მოქმედებად ა. შვაიერისა, თარგმანი ვ. მალაქიაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ბ-ნნი: ვიქტორელი კარგარეთელი, ლეჟავა, ლოლუა, ქილარჯიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, არადელი გ. ალექსიძე ა. გვარამე ნ. ყიფიძე, მატარაძე ვ. მგალობლიშვილი დ. მამფორია ა. საფაროვი, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოება. რეჟისორი ვლ. ს. ალ.-მესხიშვილი

ადგილების ფასი: გალერეია 26—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში შეგირდებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ-თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „სად მიხვალ?“ „ორი ვნება“ „ნორჩი თაობა“ „მირრა ეფროსა“ და სხვ.

## რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

## მოდ ძალი

ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები,

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

ბავების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ხიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—18)

ერთად ერთი მარჯვე და შესაფერისია ოჯახხობით საცხოვრებლად ახლად შეკეთებული

## მუხრანის ნომრები

დღე-ღამეში 70 კ.-დან 5 მ.-დე ჰღირს, თვიურად 15 მან. 100 მანეთამდე. ოთახების უმეტესობას აივნები და ფანჯრები ქუჩის მხარესა აქვს. ოთახები მშვენივრად მოწყობილია. განათებულია ელექტრონით. ცივი და თბილი საბანოები. ფეხსადგილები ტეხნიკის უკანასკნელ მოთხოვნილებისამებრ. მსახურნი ზრდილობიანი და მკვირცხლნი. აქვე არის კომისიონერი. (30—155—4)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი საშშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

ზედგენიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინა ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.

ქაჯაიძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ზ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი გ. ა. ქურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

სობოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—305)

## „სახალხო გაზეთის“ კანტორა

აცხადებს, რომ 1 ლვინობისთვიდან მოესპო გაზეთის გზავნა იმ ხელის მომწერთ, ვისაც წლის ბოლომდის არ ჰქონდა 8 მან. 50 კაპ. შემოტანილი. აგრეთვე მოესპოთ გზავნა თვიურ ხელის მომწერთაც, რომელთაც 1 ოქტომბრისთვის არ შემოიტანეს ხვედრი ფული.

**მოვაგონებთ** წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ენკენისთვეს უნდა გადაეხადათ წლიური ხელის მოწერის ფასი. ვისაც სრულად არა აქვს შემოტანილი, დააჩქარონ და შემოიტანონ.

ვისაც ფული აქვს გამოსაგზავნი აუცილებლად ამ მისამართით გამოგზავნონ: Тифлисъ, Большая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.

კანტორა პასუხის-მგებელი არაა, თუ ფული სხვა მისამართით იყო გამოგზავნილი და გაზეთი არ მიუვიდათ. ვინც „სახალხო გაზეთზე“ ან სხვა სახელზე გამოგზავნა ფული, დააჩქაროს და განცხადება შეიტანოს ფოსტის კანტორაში ფული ზემოდ ნაჩვენებ ადრესზე გადასცენ.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა.

= დაიბეჭდა, იკაზმება და 1 ნოემბრიდან მზად იქნება გასასყიდად =

## კ. თავართქილაძის და გრ. ჩარკვიანის მიერ

შედგენილი

კედლის **კალენდარი**

ფასი 40 კაპ.

ვინც 100-ბით დაიბარებს ამ თავიდან იმას დაეთმობა 25 კაპ.

ადრესი: ტფილისი, კ. თავართქილაძეს.

(2 162—1)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ზ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. მოპოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

ი. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—468)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარდან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

ხარაპ—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოჟოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

მოსხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 სათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

ნოვიცკი—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

ვესელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად ყოვ. დღ. 2—3 საათ.

ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

მიკირტუმოვი დილის $10^1/_2$—$11^1/_2$ ს. ყოველ-დღე.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4— 5 საათ.

ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 11—12ს. დილ.

ი. მ. ახპიროვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წრატით. (100—6.—9)

**ექიმი** გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზღვაო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზალ.—59)

**ექიმი** ი. ი. მინასიანცი

სწამლობს შინაგან, საბავშვო და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ Mathieu-სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—4)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

## ნაფიცი ვექილი

## გრიგოლ დიასამიძე

დაბრუნდა.

ნახვა შეიძლება: დილის 8—10 ს. და საღამოს 6—7 ს. ბინა: ოლგას ქუჩა, ახლი № 4. (5—136—5)

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში



გამოცემა მიტროფ ნემსაძისა

ფასი 10 კაპეიკი.

ადრესი: ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის სტამბა.

ტელეფ. № 372.

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

გადავიდა იზმაილოვის ქუჩაზე N 2. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5^1/_2$—$6^1/_2$ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

## მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გამინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. 20. (0—6.—65)

**ექიმი** ი. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—241)

**ექიმი** რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაკინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—15)

## მასწავლებელი

ამზადებს შეგირდებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისათვის. ნახვა შეიძლება დილის 8—11 საათამდე და საღამოს 3—5 ს-მდე. მიხაილოვის ქ. № 144. (25—162—2)

## ტფილისი, 21 ოქტომბერი

**სადებიუტო ცირკულიარი.** ამ რამდენისამე ხნის წინად, როდესაც სახალხო განათლების ახალი მინისტრი თანამდებობის შესრულებას შეუდგა, ჩვენმა გაზეთმა მის წინაპარს, შვარცს, ორიოდე დამახასიათებელი სიტყვა უძღვნა. აღნიშნა ისიც, რომ ამ სამინისტროს მესვეურნი თავიანთ მოქმედებას იწყებენ იმის განადგურებით, რაც მათ წინაპრებს შეუქმნიათ. სახალხო განათლების სამინისტრო ყოველთვის რყევასა და გამოურკვევლობაში არის ხოლმე. დღესაც სწავლა-აღზრდის საქმე ისე აწეწილია, რომ ახალს მინისტრს ძალიან ფართო გზა ეხსნება სამოქმედოდ. მთელი რიგი მომწიფებულ საკითხებისა გადაწყვეტასა თხოულობს, და უნდა გვეფიქრა, რომ ახალი მინისტრი სწორედ აქედან დაიწყებდა თავის მოღვაწეობას. არ ვიცით, მომავალში რა იქნება, მაგრამ დღეს კი მხოლოდ ის არის, რომ მინისტრმა კასსომ თავის სადებიუტო ცირკულიარით უმთავრესი ყურადღება... სკოლებში სამხედრო გიმნასტიკისა და ვარჯიშობის განვითარებას მიაქცია.

თავის-თავად ეს ცირკულიარი არავის ყურადღებას არ მიიქცევდა, რადგანაც გიმნასტიკასა და სამხედრო ვარჯიშობის წინააღმდეგი არავინ იქნება. პროგრესიული ნაწილი რუსეთის საზოგადოებისა, თანახმად ნაციონალურ პედაგოგიკისა, ერთხმად გაიძახის, გონებრივ განვითარებასთან ერთად საჭიროა ფიზიკური განვითარებაცაო. ამიტომ გიმნასტიკისა და სამხედრო ვარჯიშობის შემოღება თავის თავად არავის პროტესტსა და უკმაყოფილებას არ გამოიწვევს.

ახალი მინისტრის სადებიუტო ცირკულიარი სამხედრო ვარჯიშობის შემოღების შესახებ მით არის საყურადღებო, რომ იგი სამინისტროს ახალ მესვეურის სულისკვეთებასა და მის ფიზიონომიას ცოტად თუ ბევრად არკვევს. უკანასკნელ დროს რუსეთში ძალიან მოიკიდა ფეხი სამხედრო ვარჯიშობის შემოღების იდეამ. ეს იდეა დაიბადა რუსეთის მონარხისტულ ორგანიზაციებში, ესევე ორგანიზაციები პრაპაგანდას ეწეოდნენ მის სასარგებლოდ და კატეგორიულად მოითხოვდნენ მინისტრ შვარცისაგან ამ იდეის განხორციელებას. მონარქისტულ ორგანიზაციებსა სურდათ და ეხლაც სურთ სკოლა ყაზარმებად გადააქციონ და მოსწავლენი კი—სალდათებად. მინისტრი შვარცი დიდი კონსერვატორი იყო, რეაქცია ძალიან გააძლიერა სასწავლებლებში, ყოველ-გვარი ლონისძიება იხმარა, რომ 1905—6 წლების ნაანდერძევი სამუდამოდ მოესპო, მაგრამ იმანაც კი ვერ გაბედა სკოლის გამილიტარისტება. იგი ყოყმანობდა და მონარქისტულ ორგანიზაციათა წუწუნს ყურადღებას ნაკლებად აქცევდა.

ახალმა მინისტრმა სადებიუტო ცირკულიარით უკვე გამოარკვია თავისი დამოკიდებულება ამ იდეისადმი. ამით მან გამოარკვია თავისი დამოკიდებულება მონარქისტულ ორგანიზაციებისადმი. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ახალი მინისტრი ვერ გამოიჩენს იმ დამოუკიდებლობას, რომელიც საჭიროა სახალხო განათლების მინისტრისთვის; ვერ გამოიყვანს განათლების საქმეს იმ ხავსიდან, რომელშიაც დღეს იმყოფება. პირველი ნაბიჯი მინისტრისა ასეთს შთაბეჭდილებას ახდენს, შემდეგ რა იქნება, ამას ახლო მომავალი გვაჩვენებს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სახელმწიფო სათათბიროს განახლებულს მუშაობას ყველა ინტერესით ელის, თუმცა ამ უცნაურ „პარლამენტის“ სიმახინჯესა და სასაცილო მდგომარეობას არავინ ჰფარავს. „რუსსკოე სლოვო“ ამბობს:

„სათათბირომ ზურგი უჩვენა ქვეყანას, ხოლო ქვეყანამ ზურგი უჩვენა სათათბიროს... ქვეყანა და ხალხი დავიწყებულია სათათბიროს მიერ, ხოლო ქვეყნისა და ხალხის მიერ დავიწყებულია სათათბირო“.

იქნებ ეს „თავისუფალი დაწესებულება“ განვითარდეს და წინ წავიდეს,—ყველაფერი ამ ქვეყნად ხომ განკარგებას ლამობს! საქმეც იმაშია, რომ სათათბირო, რაც ხანი გადის, წინ-სვლის მაგივრად უკან-უკან იხევს. თავის მცირე უფლებასაც სახელმწიფო საბჭოს უთმობს.

ზედა პალატა არა ერთხელ აცხადებდა დემონსტრატიულად, რომ ანგარიშს არ გაუწევს, თუ რა საკუთარი პოზიციები უჭირავს სათათბიროს.

ცხადია, რომ სათათბიროს გავლენიანი ჰემარჯვენენი წინ ვერ აღუდგებიან თავის უფროსს და ხარისხოვან ნათესავების აზრებს. სათათბირო ამ გვარად უფრო ამაგრებს საბჭოს უიმისოდაც მეტად მაგარს ძალას. აქამდის ყველგან

ქვედა პალატა აფართოვებდა და ამრგვალებდა თავის უფლებათ და ზედა პალატას ჩუმ თანხმობის პოზიციისაკენ ახევინებდა;

რუსეთის სათათბირო კი

თვითონ იხევა ჩუმ თანხმობის პოზიციისაკენ. იგი მორჩილად ამზადებს კანონ-პროექტებსა, რომ ზედა პალატის მიერ მიღების ღირსი იქმნეს. ხოლო სახელმწიფო საბჭო რიხით უარჰყოფს ყველაფერს, რაც სათათბიროდან შემოსდის იმ სახით, რომელიც მას არ მოსწონს.

ბოლოს და ბოლოს

ორ-პალატიანი სისტემა გადაქრითა და სწრაფად ხდება ერთ-პალატიანად, რომელსაც ჰბატონობს არა ქვედა, არამედ ზედა პალატა.

ხოლო რა განძია ეს ზედა პალატა, ვიცით იქიდან, რომ მის ყველა წევრთა ნახევარი დანიშნულია მთავრობის მიერ.

მათ ყოველთვის შეუძლიანთ არჩეულ წევრთა რამდენიმე ხმა მოიპოვონ. „კონსტიტუციური“ სახე ჩვენის „პარლამენტისა“ მეტად ცხადი და გამორკვეულია.

—

-გამორკვეულია თუ არა სათათბიროს წევრთა უმრავლესობის, ოქტომბრისტების სახე? სახისა რა მოგახსენოთ, და სახელი კი მაინც 17 ოქტომბრისა ჰქვიანთ, რომელმაც ესოდენი თავისუფლებანი მოგვანიჭა... ქაღალდზე.

დეპეშებიდან ვიცით, რომ ამას წინად პოლიციამ დააპატიმრა „რუს. სლოვოს“ რედაქტორი ბლაგოვი მურომცევის დასაფლავების შესახებ „ცრუ ცნობების გავრცელებისათვის“,

ოქტომბრისტების ლეიბ-ორგანომ „გოლოს მოსკვი“-მ იმის ნაცვლად, რომ თავის თანამოძმეს გამოსარჩლებოდა, მოსკოვის ქალაქის უფროსის როლი იკისრა და თავის მკითხველებს აუხსნა მიზეზები ბ. ბლაგოვის დაპატიმრებისა, რასაც აშკარად თანაუგრძნობდა. ამაზე „რეჩ“-ი სწერს:

თუ ციხეში ჩაესვათ საქმის განურჩევლად „ნოვოე ვრემია“-სი, ან თუნდაც „გრაჟდანინი“-სა და „რუსსკოე ზნამია“-ს რედაქტორები, ყველა პრესის მოვალეობა იქნებოდა, თუ თავის თავს ცოტაოდენს პატივსა სცემს, პროტესტი განეცხადებინა, ან როცა პროტესტი უნაყოფოა, გაჩუმებულიყო მაინც. „გოლ. მოს.“-იმ ვერ შეასრულა თვით უკანასკნელი, მინიმური წესიც რიგიანობისა.

ალბად ოქტომბრისტებს 17 ოქტომბრის „თავისუფლებანი“ მხოლოდ თავის-თავისთვის უნდათ; ხოლო სხვებისათვის, სცდილობენ, ეს უბედური თარიღი საშინელი და საზარელი გაჰხადონ. 3 ივნისის გმირებს სახელად უფრო „ივნისისტები“ შეჰფერით, ვიდრე ოქტომბრისტები.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ოქტომბერი.

## საზღვარ-გარედ

**ურმია.** ხოიდან იუწყებიან, რომ ოსმალებმა დაავალეს ცნობილ ყაჩაღს (?) დაიპყრას მომიჯნავე კონტურის ოლქი და ოსმალეთის ტერიტორიად გამოაცხადოს; ამის ჯილდოდ მას დანიშნავენ ამავე ოლქის მმართველად მთელის სიცოცხლის განმავლობაში. ამ საქმის თაობაზე გამართული მიწერ-მოწერა სპარსელებმა ჩაიგდეს ხელში. კონტურის ოლქი, ბერლინის კონგრესმა 1878 წელს სპარსეთს მიაკუთნა. რამდენიმე ყარაფაფახის დიდებული ოსმალების მიერ დევნილნი. სულდუზიდან ურმიაში მოვიდნენ. სულდუზის ხანებში დიდი მოძრაობა დაიწყო ოსმალეთის წინააღმდეგ.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ სპარსეთის სრუტეში „ფოკსის“ გემით ინგლისის მეომართა მიყვანა სპარსეთის ვიცე-გუბერნატორისა და ინგლისის ელჩის თხოვნას მოჰყვა, რადგან მათ ითხოვეს ქალაქის დაცვა. გემ „ფოკსა“-დან ოთხი ზარბაზანი გადაიტანეს ნაპირზე.

**ბერლინი.** გარეშე საქმეთა სამინისტროს გამგე—საზონოვი ჩამოვიდა დღეს რარმშტატში გაემგზავრა. გაზ. „ბერლინერ-ლოკალ-ანცეიგერ“-მა მისი სურათი მოათავსა და გრძნობიერად მიესალმა მის მოსვლას. გაზეთი აღნიშნავს საზონოვის თვალსაჩინო დიპლომატიურ ნიჭსა და ღირსებას და აღნიშნავს მის მამულიშვილურ მისწრაფებას, რის გამოც ქვეყნის კეთილდღეობა მის პოლიტიკის უმთავრეს საფუძველს შეადგენსო. საზონოვი ეცდება ძველებური კეთილ-მეზობლური განწყობილება იქონიოს გერმანიასთან; ხოლო ნორმალურ დამოკიდებულების განმტკიცება მისი პოლიტიკის უმაღლესი მიზანიო.

**თეირანი.** რადგანაც სპარსეთის მთავრობა ერიდება მაჰმედ-ალი შაჰის სასარგებლოდ მორიგ გარდასახადის გასტუმრებას, რუსეთისა და ინგლისის დესპანებმა გარეშე საქმეთა მინისტრს ორი გული-ამის ხელით მიწერილობა გაუგზავნეს და ამ ფულის გადახდა მოსთხოვეს. გულიამები სამ დღეს უკან სდევდნენ მინისტრს და ვალის გადახდას სთხოვდნენ. ეს ფული მხოლოდ გუშინ გადაიხადეს.

ბახტიარებმა ხოშანი დაიპყრეს. ნაიბ ჰუსეინი გაიქცა.

არეულობისა გამო ლინგში გაიგზავნა ჯარი, ოთხის ზარბაზნით.

**ბერლინი.** რუსეთის ელჩის მიერ საზონოვის პატივსაცემად გამართულ საუზმეზე დაესწრო ბეტმანი-გოლვეგი და კიდერლენ-ვეხტერი.

**ნიუ-იორკი.** ბარგის გადამზიდველთა გაფიცვა იზრდება. დიდი არეულობა ხდება.

**პარიზი.** დიდის ავდრებისა გამო, მდინარეები ადიდდა. არდეშის არხში წყალი აღარ დაეტია და გადმოხეთქა. ბევრგან რკინის გზის ლიანდაგი წალეკა, რის გამოც მიმოსვლა შესწყდა. ზარალი დიდია. რონამა და გარმა (?) ნაპირები წალეკეს.

**ლონდონი.** სპარსეთის მთავრობა გააფრთხილეს, რომ იგი პასუხს აგებს შირაზში მომხდარ არეულობის დროს ინგლისის ქვეშევრდომთა შეურაცყოფისა და ზარალისათვის.

**ბუქარესტი.** „კონსერვატორული“ ოსმალეთ-რუმინიის ხელშეკრულობის გამო სწერს: რუმინიასა და ოსმალეთსა სურთ ბალკანეთზე უკვე არსებული განწყობილება (სტატუს-კვო) დასტოვოს. როდესაც ბულგარია და საბერძნეთი ბალკანეთის ნახევარს კუნძულის ქარტის შეცვლას მოიწადინებენ, ეს ორი სახელმწიფო მათს მოწინააღმდეგედ გამოვა. ჩვენს შესაშინებლად ხმას ავრცელებენ, რომ ბალკანეთის ოთხი სახელმწიფოა შეკავშირებული ოსმალეთისა და რუმინიის წინააღმდეგაო. ამ ოთხთა კავშირს შეუძლიან გამოიყვანოს მხოლოდ 500,000 მეომარი. ოსმალეთს კი შეუძლიან 700,000 მეომრის გამოყვანა, ბულგარიასაც 300,000.

**ბერლინი.** „კელნიშე-ცაიტუნგი“ სიამოვნებით იხსენიებს ვილჰელმისა და რუსეთის იმპერატორის შეხვედრას; იგი ამ შეხვედრაში ჰხედავს ორივე მონარქის კეთილ-განწყობილებას; სჩანს რუსეთი აფასებს ურთიერთ-განწყობილებას და სურს კიდეც მისი გაგრძელებაო. გაზეთი აღნიშნავს: სასურველია, რომ პორტდამში ყოფნის დროს, საზონოვს პირადის შთაბეჭდილებითა და გერმანიის მოღვაწეთა გაცნობით, გერმანიის საქმეთა ვითარება ნამდვილად გაეთვალისწინებინაო.

**ბრიუსელი.** ლიუტერის სადგურზე ორი მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა, ერთი კაცი მოკვდა, რამდენიმე—დაიჭრა.

**სოფია.** „პრეპორეცი“ დიდს იმედებს ამყარებს ახლახან ოდესაში დასრულებულ სავაჭრო-სამრეწველო კრებას, რომელიც, სხვათა შორის, რუსეთ-ბულგარის დამოკიდებულებას ხელს შეუწყობსო.

**თავრიზი.** არდებილიდან რუსის კაზაკების თანხლებით მოვიდა რუსეთის საქონლით დატვირთული 150 აქლემის ქარავანი.

გადაყენებულ პოლიცმეისტრის მაგიერ, დაინიშნა თეირანელი მჯყარამუს-სალტანე.

**ბერლინი.** კრონპრინცი და კრონპრინცესა 21 ოქტომბერს გინუაში გაემგზავრებიან „პრინც-ლიუდვიგოს“ გემით და იქ, ვინაობის გაუმხელად, სამს კვირას დარჩებიან. კრონპრინცესა სამშობლოში დაბრუნდება, ხოლო კრონპრინცი კი გემით „გნეიზენაუ“ ორის თვით ინდოეთს წავა, შემდეგ 6 დღეს კიპოჩაში დარჩება, 28 მარტს პეკინში მივა, სადაც 10 დღეს დაჰყოფს და იაპონიაში გაემგზავრება 14 დღით. კრონპრინცი, მაისის შუა რიცხვებში, ციმბირზე გამოივლის და სამშობლოში დაბრუნდება.

**ურმია.** ნოვჩინის შეიხ-ტახას განკარგულებით, მისი ძმის შეი რაშიდის კარმიდამო დაპამულები აიკლეს. რამდენიმე გლეხი მოჰკლეს. რაშიდმა და ამ მიდამოების ქურთებმა რუსის მთავრობას სთხოვეს მფარველობა.

**ლონდონი.** სასრულ-მულკი სპარსეთისაკენ გაემგავრა, რადგან თეირანის პარტიებიდან დამოწმება მიიღო, რომ არჩევას უპარტიო ხასიათი ჰქონდა. გზა და გზა ბევრგან სადარბაზოდ გაჩერდება. ლონდონში იგი მხოლოდ შვილის ავადმყოფობისა გამო დაბანდდა. ის ცნობა, ვითომც ბერლინში შეივლისო, ტყუილია.

### ფ რ ე ნ ა

**პეტერბურგი.** გუშინ, სამხედრო აეროსტატი, ოთხის მგზავრით, აფრინდა და 31 საათის შემდეგ ტამბოვში ჩამოვიდა. აეროსტატი 1400 ადლის სიმაღლეზე მიფრინავდა.

### რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** ფინანსიურმა კომისიამ დაადგინა, შემოსავლისა და გვარად გადასახადების შემოღების კანონ-პროექტი შობამდე განიხილოს, რომ სესსიის დასრულებამდე სახელმწიფო საბჭოში წარდგენა მოასწროს. შემდეგ მორიგ საკითხად უძრავ ქონებაზე გადასახადისა სამაზრო სოფლებს და მიწებზე არსებულ გადასახადის გადიდების კანონპროექტია.

ამავე კომისიამ სასურველად ჩასთვალა, რომ სამეურნეო იარაღების გამოწერის დროს, საბაჟო შეღავათები კვლავ დარჩეს, 1912 წლის 1 აპრილამდე.

კომისიამ გადასწყვიტა,—არა უგვიანეს 1911 წლის 1 მაისისა, მთავრობამ საკანონმდებლო დაწესებულებას წარუდგინოს კანონ-პროექტი სამშობლოს მეურნეობისათვის საჭირო მანქანების დამზადებისა.

**ოდესა.** საინჟინრო უწყების საწყობები გადაიწვა. ზარალი 120 ათასი მანათია.

**სერაევო.** გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ამ კუთხის უფროსის—გენერალ ვასეშანინის მოკვლის განზრახვაში, რომელიც შარშან ზაფხულს მოხდა, დამნაშავეს მოზიარენი არა ჰყოლია.

**ცარიცინი.** საოლქო სასამართლომ, წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით, აზნაურს შჩუკას 13 წლითა და 4 თვით კატორღა გადაუწყვიტა. შჩუკამ იანვარში მოჰკლა მამა, დედინაცვალი, სამი ძმა და ერთი და.

**კიევი.** რკინის გზის წარმომადგენელთა კრება დაიწყო. კრების მიზანია, განიხილოს და შეიმუშავოს ხორბლეულის საწყობებსა და საკომისიო გემია და მიმოსვლის საქმე. კრებაში მონაწილეობას იღებენ თერთმეტ სახელმწიფო რკინის გზისა, ბანკებისა, კონტროლისა და საბაჟო უწყების წარმომადგენელნი.

**ხარბინი.** ხუნხუზები კიდევ დაეცნენ ხეტყის საწყობ-სახერხ ქარხანა—„იაბლონიას“. ორი ბარაკი დასწვეს და მუშები გარეკეს.

**ხარბინი.** კორეის მომიჯნავე ქალაქ სიუიკხიცზეში, 50-მა პოლიციელმა ალყა შემოარტყა იაპონიელის რესტორანს. რადგან, წინააღმდეგობა გაუწიეს, პოლიციელებმა რევოლვერების სროლა აუტეხეს. რამდენიმე იაპონელი დასჭრეს, სამი—დააპატიმრეს.

მოსაზღვრე მდინარე ტუმანხანის ნაპირად, ჩინეთის პოლიცია შეეცადა იაპონიის პორტა გაეჩხრიკა, ფოსტალიონსა სცემეს.

**ოდესა.** ჩამოვიდა ბულგარიის სავაჭრო პალატას რწმუნებული—ლილოვი.

**დონის-როსტოვი.** სამარკის საფოსტო განყოფილება ავაზაკებმა გაძარცვეს, წაიღეს 10,000 მანეთი. ფოსტის უფროსი მძიმედ დასჭრეს.

**სოხუმი.** საქველმოქმედო საზოგადოებამ გახსნა ხელსაქმის უფასო სკოლა.

**ივანო-ვოზნესენსკი.** ტეოკოვში, კარეტნიკოვის ქარხანაში, 5000 მუშამ მუშაობა შეაჩერა.

**ხარკოვი.** სამოსამართლო პალატამ „იუჟნი კრაი“-ს რედაქტორი—კრასოვი, მავნე წერილების მოთავსებისათვის 500 მანეთით დააჯარიმა.

**პეტერბურგი.** 1 ნოემბრისათვის, უწმ. სინოდში მიწვეულნი არიან: პეტერბურგის მიტროპოლიტი ვლადიმერი, ტულის ეპისკოპოსი პორფირი და სამარის ეპისკოპოსი კონსტანტინე. თავთავის ეპარქიაში დაბრუნების დასტური მიიღო მაკარიის ეპისკოპოსმა იოკიმემ და რიგის ეპისკოპოსმა—იოანემ.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** ხოლერით ავად გახდა 3, გარდაიცვალა—2. ავად არის 146. კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა: ბაქოს გუბერნიაში — 6, გარდაიცვალა —1, უმანში ავად გახდა 8, გარდაიცვალა—2.

### შ ა ვ ი ჭ ი რ ი.

**ოდესა.** მთელი კვირის განმავლობაში, შავი ჭირით ავად გახდა 1, მორჩა—4. რადგანაც შავი ჭირი მინელდა, მის წინააღმდეგ მებრძოლ კომისიის ხელმძღვანელი—მალინოვსკი პეტერბურგს გაემგზავრა.

# ახალი ამბები

### ტ ფ ი ლ ი ს ი

**ქართული წარმოდგენა.** დღეს, 21 ოქტომბერს, ქართულს თეატრში, ლადო მესხიშვილის მონაწილეობით, წარმოდგენილ იქმნება შვაიერის 4 მოქმედებიანი პიესა „ნიშანი ყოფა-ქცევაში“, თარგმანი ვ. მალაქიაშვილისა. ეს საინტერესო პიესა, რომელმაც რუსეთის სცენები მოიარა, ქართულს თეატრში პირველად იდგმება, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრება.

**პოლიციელის მოკვლა.** 19 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე, კახეთის მოედნიდან საპოლიციო სამმართველოში მიდიოდნენ პოლიციელნი: არაქელოვი და ჰაჯიევი. ერთის სახლის მახლობლად, ბნელს ადგილას, პოლიციელებს თავს დაეცნენ ვიღაც უცნობნი, წაართვეს არაქელოვს რევოლვერი და ამავე რევოლვერით იქვე მოჰკლეს, ხოლო პოლიციელი ჰაჯიევი, რომელსაც ზედ რევოლვერი არა ჰქონდა, შუა ქუჩაზე წააქციეს და შემდეგ ლაგოდეხის ქუჩისაკენ გაიქცნენ

# სიმღერა

ალარ მწადიან ვიმღერო,
მინდა დღე და ღამ ვგალობდე,—
მე რომ არ მწყალობს უფალი,
მე მაინც ვისმე ვწყალობდე.
!ქლავს ნდომა დაუსაბამო,
მოყვასისათვის ვწვალობდე.
ვიცი, ტანჯული ამ გვარად
უნდა ბოლოს დროს ვხაროდე.
ვინც მიყვარს, გარდა იმისა,
მინდა სხვასაცა ვყვარობდე.

—

პირველისადმი ტრფიალსა
მეორეშია ვსახავდე;
ახ, ნეტავ, სადმე შემყარა,
ასეთს არსებას ვნახავდე.

—

თვალებს დავეძებ სხვა-გვარსა:
სატრფოში სატრფოს მჩინარსა,—
ფრთებს შევისხამდი ახალსა,
გულს მოვირჩენდი მტკივანსა,
დაგუბებული გრძნობები
ქარს ემსგავსოდა მხვივანსა
და აზრიც მამაცობითა
არწივსა მთაზე მყივანსა,
იქნებ მეშველოს, გავცოცხლდე,
შევვედრი უფლის მდივანსა:

—

ხმა მიმიწვდინოს ღმერთამდე,—
შევიქმნე ჩანგის მფლობელი;
გულს მესვას ვნების ეკალი,
სამოთხე ჰიმნების მშობელი,
კვლავ ვიყო აღტყინებული,
კეთილ ხმათ ხმებზე მწყობელი;
ჩემის ქვეყნისა გმირების
სახეთ შეფრქვევით მცნობელი,—
მიყვარდეს მოძულებული
ოხერი წუთისოფელი.

ვაჟა-ფშაველა.

# წერილი პეტერბურგიდან

აკადემიური წელიწადი ენკენისთვის პირველს დაიწყო, მაგრამ ფაქტიურად კი ღვინობისთვის დასაწყისში, ვინაიდან საგრძნობმა ნაწილმა პროფესორებისამ სისტემატიური კურსი ენკენისთვის მიწურულს გამოაცხადეს. ახალი იმედებით და ძალით აღჭურვილი სტუდენტობა ავსებს აუდიტორიებს, და ეწაფება მეცნიერებას, მაგრამ ისინი ძველი ნაცნობები არიან უნივერსიტეტისა, რაც შეეხება ახლად ჩარიცხულთ, ისინი არა სჩანან. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იურიდიულ ფაკულტეტს, ახლად მიღებულთა რიცხვი დანარჩენ ფაკულტეტებზედ ერთობ მცირე და შეუმჩნეველია. არ არის შევსებული მეოთხედი ვაკანსიისა. დიდი ხანია, არ ახსოვს პეტერბურბურგის უნივერსიტეტს ასეთი სახიფათო მოვლენა. დიაღ, დიდ-ძალი ადგილი დარჩა დაუჭერელი, მიუხედავად სატახტო ქალაქის მიმზიდველობისა, პირველ ხარისხოვან სამეცნიერო ძალებისა, რომელნიც თავდები უნდა ყოფილიყვნენ. სინამდვილე კი სხვას გვიჩვენებს. რაშია საქმე? ნუ თუ მარტო პეტერბურგის უნივერსიტეტი განიცდის ამ კრიზისს? ვინც სატახტო ქალაქის ჟურნა-გაზეთობას თვალ-ყურს ადევნებდა, დაინახავდა, რომ პეტერბურგის გარდა სხვა ქალაქის უნივერსიტეტშიც ამავე უნუგეშო მდგომარეობაშია. ტომსკი, ყაზანი, კიევი, ოდესსა და სხვა იმავე განიცდის. ამ მხრივ განცალკევებული სდგას მოსკოვისა და ერთის მხრით კიევ-ხარკოვის უნივერსიტეტები, სადაც თითქმის ყველა ვაკანსია დაკავებულია, როგორც დავინახეთ პეტერბურგში უნივერსიტეტი არ წარმოადგენს იშვიათ შემთხვევას.

მაშ რაშია საქმე?—იძახის სატახტო პრესსა და პროფესურა. იმის მრავალფეროვანი, აჰრელებული პასუხი. მაგალითად, ყაზანის უნივერსიტეტის რექტორი მთავარ მიზეზად ასახელებს ზოგიერთ საშუალო სასწავლებელთა უუფლებობას, რომლის მოხებით ყმაწვილებს დამატებით ეგზამენების ჩაბარებამდე აღკრძალული აქვთ უნივერსიტეტში ჩარიცხვა. ზოგი უფრო ღრმად შეეხო საკითხს და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიზეზს დასდო ბრალი. მათის აზრით განმათავისუფლებელ მოძრაობით გატაცებულ ახალგაზრდობას სწამდა დასახულ მიზნის ხორცშესხმა, ალთრთოვნებით დაეწაფა კულტურულ საქმეს, მეცნიერებას, მწერლობას, ვინაიდან სჯეროდა ნათელ მომავლის მოახლოება. და ეს აღფრთოვანება, რეაქციის გამარჯვების შემდეგ, შეიცვალა ინდიფერენტიზმით, უხალისობით და იმ საზარელ პოლიტიკურ ატმოსფერის დამკვიდრებით, როდესაც საზოგადო საქმეში დამარცხებული ახალგაზრდობა მიუბრუნდა უმაღლეს სასწავლებლებს და აქ კი დახვდა შვარცის სამინისტრო თავის ცირკულიარებით და „ისტორიულ“ პროექტით. ასეთი ახსნა სიმართლესთან უფრო ახლოა. მართლაც გონებრივ მუშაობისადმი ხალის-დაკარგული ახალგაზრდობა საშუალო სასწავლებლის დამთავრებისას ან არ შედის უმაღლესში, ან რჩება უკანასკნელში რამდენიმე ხანს, შემდეგ სამხედრო სასწავლებლებში გადადის. უნივერსიტეტის ალაგი სამხედრო სასწავლებლებმა დაიჭირა. მართალია, ზოგიერთ სასწავლებლის უუფლებობაც აყოვნებს უნივერსიტეტის შევსების საქმეს, მაგრამ ძირითადი მიზეზი უნდა ვეძიოთ ახალგაზრდობის მიერ სერიოზულ სწავლისადმი გულის აცრუებაში. ამას მოწმობს ისიც, რომ 1906 წ. უფრო ნაკლები შევიდა უნივერსიტეტში ვიდრე 1905 წ. 1907 წ. ნაკლები ვინემ წინა წელიწადს. ამგვარად მივალთ 1910 საკადემიო წლამდი, როდესაც სტუდენტები უნივერსიტეტში კიდევ უფრო ნაკლებია წინანდელ წლებთან შედარებით. განა მარტო უნივერსიტეტი განიცდის ამ კრიზისს. ამასვე ვამჩნევთ სამეცნიერო თუ ბელეტრისტიულს ნაწარმოებთა, და გაზეთების გასაღებაში. გამოანგარიშებით ვიცით რომ 1905—6 წლებში რაც იკითხებოდა, ახლა იმის ნახევარიც არ იკითხება და არ საღდება. ამიტომ წიგნის გამომცემელნი, მაგ. პეტერბურგში ღირებულების ნახევარ ფასში ჰყიდიან ბევრ წიგნებს.

საზოგადოებრივ მოვლენების წყალობით ხალის-დაკარგული ახალგაზდობა რთულ ინტელექტუალურ მუშაობას გადაეჩვია, ასცდა სწორე გზას და უსაქმო ცხოვრებას მოჰყო ხელი. კერძოდ მე ბევრ სტუდენტისგან გამიგონია, მეცადინეობის ხალისი არა მაქვს, გონება მიკარნახებს სწავლას, გული კი არ შერიგებაო. შედეგი ასეთ უხალისო მდგომარეობისა,—უნივერსიტეტის მიტოვება, ლოთობა და თვით-მკვლელობა არის. ამ მოვლენას არ ასცდა ერთი ნაწილი ქართველ სტუდენტობისაც.

რაც გინდა დაასახელეთ მიზეზებად უნივერსიტეტში შემსვლელთა რიცხვის შემცირებისა, ნათელყოფილია, რომ უნივერსიტეტი, რომელიც ახალგაზრდობის სულის კვეთების ტერმომეტრია, დიდ კრიზისს განიცდის. ამას ვალდებულია ანგარიში გაუწიოს განათლების ახალმა მინისტრმა პრიგფ. კასსომ. მისმა წინამორბედმა—შვარცმა ხომ პირნათლად აასრულა თავისი ვალი ამ მხრივ. ურიცხვი ცირკულიარებით აღორძინების ნაცვლად მიწასთან გასწორებას უპირებდა უნივერსიტეტს. რაც პოლიტიკურმა რეაქციამ დააკლო, იმის შევსებას აკადემიურ სფერაში შვარცი ლამობდა. სანიმუშოდ ერთ ცირკულიარს დავასახელებ, სახელდობრ 30 მარიამობისთვისას, რომელსაც პრესამ ყურადღება ნაკლებ მიაქცია.

ფილოლოგიურ ფაკულტეტის ახლად ჩარიცხულ სტუდენტებს ხელ-ახლა უნდა ჩააბარონ ძველ ენებში ეგზამენები გიმნაზიურ კურსის ფარგალში; წინააღმდეგ შემთხვევაში არც „პროსემინარიებში, არც სემინარიებში, ეგზამენების ჩაბარება არ შეიძლება. მაშინ რას ნიშნავს ატესტატი, თუ ხელ-ახლა ეგზამენებს სთხოვენ. ვინც ჩაიჭრება, ფილოლოგიურზე დარჩენის უფლება არა აქვს, თუ თვით განათლების მინისტრმა არ დართო ნება. ამ ცირკულიარმა ისე დააშინა სტუდენტობა, რომ მრავალმა მისცა თხოვნა სხვა ფაკულტეტზე გადასვლისა. როგორც ჰხედავთ, საკმარია ერთს ენაში ჩაიჭრათ, რომ წელიწადი დაჰკარგოთ, როდესაც საგნებრივი სისტემა სხვა ფაკულტეტებზე საშუალებას აძლევს ჩაჭრილ სტუდენტს ხელ ახლა დაიჭიროს ეგზამენი, კიდეც ხელ-ახლა ჩაიჭრეს, სემესტრი არ ეკარგება. ამ გვარ ცირკულიარების წყალობით პეტერბურგის განთქმულს ფილოლოგიურ ფაკულტეტში რამდენიმე ასეული სტუდენტობა ირიცხება! შარშან შვიდასი ირიცხებოდა, წრეულ ნაკლები იქნება, როდესაც იურიდიულზე ხუთი ათასს აღემატება, მათემატიკურზე სამ ათასამდეა, საბუნებისმეტყველოზე რამდენიმე ათასი.

კიდევ კარგი, რომ შვარცი წავიდა, თორემ მისი ისტორიული პროექტი დიდ უბედურებას უქადდა უნივერსიტეტს. იმდენად მკაცრი და დაუნდობელი იყო პროექტი, რომ დღევანდელმა სამინისტრომაც სცნო უხერხულად მისი განხორციელება. რას უქადის ახალი მინისტრი თავის სამწყსოს, კერძოდ კი უნივერსიტეტს,—ალაჰმა უწყის. ეს-კი ეჭვს გარეშეა, რომ თავის წინამორბედზე ბევრად ჰუმანიურ კურსს დაიჭერს. ახალს რომ არაფერს შეიტანს სამინისტროში, ნათელზე-ნათელია, მაგრამ არც შვარცის შედევრებს მიებღაუჭება. ერთ-ერთ გაზეთის თქმისა არ იყოს, კარგს იზამს, თუ იმის საქმიანობა უსაქმობაში გამოიხატა ე. ი. არ ჩაერევა სასწავლებლების კერძო ცხოვრებაში. შვარცის გადადგომას მაინც და მაინც დიდი მითქმა-მოთქმა არ გამოუწვევია სტუდენტობაში, მაგრამ სიამოვნებით კი შეხვდნენ.

ახლა ქართველ სტუდენტობას მიუბრუნდეთ. პროცენტის მხრივ თუ განვიხილავთ ქართველ სტუდენტობის რაოდენობას, საგრძნობელ ძალას წარმოადგენს. თავი რომ დავანებოთ ყველა უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ, რომელთა რიცხვი ხუთასს თუ არ აღემატება, ნაკლები არაა, თვით უნივერსიტე-

რევოლვერის ხმაზე მოვარდა მორიგი პოლიციელი და გამოეკიდა ლაგოდეხის ქუჩაზე გაქცეულ უცნობს. რამდენჯერმე დაუყვირა „გაჩერდით“, და შემდეგ თოფი ესროლა უშედეგოდ. გაქცეული შემახინის ქუჩაზე შეიპყრო ნუხის ქუჩით მომავალმა პოლიციელმა. ის აღმოჩნდა სიღნაღის მაზრის სოფელ ნუკრიანის მცხოვრები გიორგი ქიტესას ძე ბოროშვილი, 26 წლისა, უსაქმური და უბინაო, რომელიც 1905 წლიდან სამხედრო ბეგარას ემალებოდა. თითებზე ადამიანის სისხლი აღმოაჩნდა. ამ მკვლელობის გამო პოლიცელებმა ქალაქის მერთხე უბანში მოულოდნელი ჩხრეკა-დაპატიმრება მოახდინეს. სხვათა შორის, შეიპყრეს ერივანის მაზრის სოფელ ხაშტახის მცხოვრები ეგიაზარ ბაღდასარიანცი, რომელსაც „ბულდოგის“ სისტემის რევოლვერი და 5 პატრონა აღმოაჩნდა.

✦ **სანატორია ჭლექიანთათვის.** ნამესტნიკის მეუღლემ ჭლექთან მებრძოლ საზოგადოებას 1.500 მანეთი გადასცა აბასთუმანის სანატორიაში მის სახელზე ერთის უფასო ტახტის დასადგმელად.

✦ **წყალ-სადენების გაყვანა სოფლად.** გარე-კახეთის ზოგიერთ სოფელს მოუსურვებია სასმელი წყალი გაიყვანოს თავის სოფლებში. ინჟენერ გ. ზ. ქურდიანს, ამ სოფლების დავალებით, უკვე შეუდგენია წყალსადენების მოწყობის ხარჯთ-აღრიცხვა. ამ ხარჯთ-აღრიცხვით, წყალსადენის გაყვანა დაუჯდება: საგარეჯოს—4.400 მანეთი, გიორგიწმინდას—2,300 მან. ხოლო ხაშმსა, მუღანლოსა, და სართაჭალას და სხვა სოფლებს—სულ 27.000 მან.

✦ **ქალაქის სამხედრო საკრებულოში.** ქალაქ ტფილისიდან წელს სამხედრო ბეგარაში გაწვეულია-634 ახალგაზრდა, ჯერ-ჯერობით მიიღეს სამხედრო სამსახურში 136 კაცი.

✦ **ექსკურსია.** 21 ნოემბერს ტფილისის მართლ-მადიდებელ სასულიერო სემინარიის რამოდენიმე მოწაფე დღეს საექსკურსიოდ მიემგზავრებიან დასავლეთ საქართველოში, ზოგიერთ შესანიშნავ ადგილების დასათვალიერებლად.

✦ **ფრენის შემოსავალი.** 16 და 17 ოქტომბერს უტოჩკინის ფრენის შემოსავალი 12.000 მანეთამდე ყოფილა.

✦ **სახალხო სახლი.** როგორც გავიგეთ, სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველ ახალ რეჟისორს ვ. ნ. შათირიშვილს რეპერტუარის შედგენის გამო უთანხმოება მოსვლია წრესთან და რეჟისორობისათვის თავი გაუნებებია.

✦ **ნებადართული პიესები.** კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო წარმოდგენილ იქმნეს ქართულად კავკასიის სცენებს, „ევგენე“, დრამა 4 მოქმედებად შირვანზადესი, თარგმანი კ. კარაპეტიანისა და „ორი ვნება“ პიესა 4 მოქმედებად ბატაილისა, თარგმანი ნარკანისა.

✦ **გადასახლებული.** 10 ოქტომბერს ტფილისში შეიპყრეს კალისტრატე კონსტანტინეს ძე ცინცაძე, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო 5 წლით ვიატკის გუბერნიაში და თავის ნებით დაბრუნდა.

✦ **პარაკლისის გადახდა.** ამ თვის 16-ს, სომეხთა კათალიკოსის მათეოსის სახელობის დღეს, კავკასიის და უცხოეთის სომეხ გრიგორიანთა ყველა ეკლესიებში გარდახდილ იქმნა პარაკლისი. კათალიკოსს მიუღია მრავალ დაწესებულებათა და პირთა მხრივ მილოცვანი.

✦ 25 ოქტომბერს ტფილისში გაირჩევა გაზ. „მშაკის“ ერთ თანამშრომელთაგანისა და სომხურ ჟურნალ „არორის“ რედაქტორის ამბ. არაქელიანის საქმე, რომელსაც ბრალს სდებენ სისხლის სამართლის 129 მუხლის მე 6 პარაგრაფის ძალით, თავის ჟურნალში ერთის ლექსის მოთავსებისათვის, რომელშიაც ერთის კლასის მეორე კლასზე წასისინებას ჰქადაგებსო.

✦ ამას წინად დონის ნახიჩევანში გარდახდილ იქმნა საზოგადო მოღვაწის და მწერლის გრიგოლ ჩალხუშიანის 25 წლის მოღვაწეობის იუბილე. იგი სახელოვანი და ნიჭიერი მუშაკთაგანია და მუდმივი თანამშრომელი სომხურ გაზ. „მშაკისა“. პროფესიით ჩალხუშიანი ნაფიცი ვექილია.

✦ 19 ოქტომბერს ნიკოლოზის ქუჩაზე იპოვეს ჩვრებში შეხვეული ბავშვი, მდედრობითი სქესისა, დაახლოვებით 3 დღისა. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

✦ 19 ოქტომბერს პოლიციამ ტფილისში 18 უპასპორტო შეიპყრო.

—

✦ **შეცდომის გასწორება.** ტფილისის გაზეთებშიც, მათ შორის ჩვენს გაზეთშიაც, დაბეჭდილი ცნობა ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწის მახარაძის მოკვლის შესახებ, მართალი არ გამოდგა.

## „ახალი აზრი“-ს

**რედაქციისაგან**

ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო გაზეთ „ახალი აზრი“-ს გამოცემა შეჩერდა. რედაქცია ეცდება სულ მოკლე ხანში დააკმაყოფილოს თავისი ხელის მომწერლები.

**„ახალი აზრი“-ს ყოფილი რედაქცია.**

## ლექციები ქუთაისში

ქუთაისს ცოტა გამოფხიზლება დაეტყო. რამდენიმე ინტელიგენციის უანგარო შრომამ საზოგადოების ინდიფერენტიზმი სძლია; ამის უტყუარ საბუთს სხვათა შორის ვხედავთ ჩვენ სახალხო უნივერსიტეტის მოწყობის საქმეში. თუ წარსულში თავი მოგვაწყინა გაუთავებელმა ლექციებმა ჟამსა და ხოლერაზე, ამ ხანებში აუდიტორიაში მომსვლელთ შეძლება ჰქონდათ მოესმინათ ლექციები: საქართველოს ისტორიიდან, საზოგადო ისტორიიდან, პოლ. ეკონომიიდან და ლიტერატურიდანაც.

კვირას, 12 აგვისტოს, ბ-ნმა გ. ნათაძემ წაიკითხა ლექცია საშუალო საუკუნოების მსოფლ-მხედველობის შესახებ (პატივცემული ლექტორი შარშანაც ნახა საზოგადოებამ, როცა სახალხო სახლში, სადაც 95 პროც. ქართველი იყო, რუსულად წაიკითხა ლექცია ანდრეევზედ). ლექცია შინაარსიანი იყო შეეხო საშუალო საუკუნოების სქოლასტიკას, მაგრამ ჩვენდა გასაკვირველად ერთი სიტყვითაც არ მოიხსენია დანტე, რომლის უკვდავს „ღვთაებრივ კომედიას“ ევროპის თითქმის ყველა ცნობილი ლიტერატურის მემატიანე სქოლასტიკისა და საზოგადოდ მთელის საშუალო საუკუნოების ენციკლოპედიად სთვლიან. სხვათა შორის ლექტორმა სთქვა, რომ თანამედროვე დეკადანსი განმეორებაა საშუალო საუკუნოების ჰანგებისო; დასამტკიცებლად დაასახელა კიდეც მაგალითები; მაგრამ სამი დღის შემდეგ, როცა კ. ფოცხვერაშვილის „პირმზეს“ სდგამდნენ და ბ. გ. ნათაძემაც წინასიტყვაობა წარუმძღვარა, სულ სხვა ჰანგზედ ამეტყველდა. ასე მალე არ უნდა იცვლებოდეს ლექტორის მსოფლ-მხედველობა. შემდეგ, დუალიზმის დამფუძნებლად აღიარა ნეტარი ავგუსტინე (ეს განიმეორა ბ. დ. უზნაძემაც) დუალიზმი კი ნეტარ ავგუსტინემდისაც არსებობდა. საკმაო არის გავიხსენოთ ძველი ეგვიპტე, იქაც ხალხის წარმოდგენით, კეთილი ბოროტს ებრძოდა. პირველის წარმომადგენელი იყო ოზირისი და მეორესი—ტიფონი. დუალისტურ—რელიგიური წარმოდგენა სპარსეთშიაც იყო ძველად ცნობილი: კეთილი სახიერდებოდა ღმერთ არმაზში და ბოროტი-კი არიმანში საბოლაოდ არმაზს უნდა ეძლია არმანი და კეთილი ბოროტზე გამარჯვებით ინეტარებდა. ნეტარ ავგუსტინესაც ასე აქვს სამყარო გაყოფილი, ღვთის სამეფოთა და ეშმაკის საბრძანებლად; მათ შორის მტრობა და გაუთავებელი ომია; ბოლოს მაინც, ავგუსტინეს რწმენით, ღმერთი სძლევს ეშმაკსა. დასასრულ ებრაელთა იეღოვა და სატანა, რომელნიც მუდამ იბრძვიან—ერთი კეთილისა და მეორე ბოროტისათვის....

კვირას 17 ოქტომბერს ლექცია წაიკითხა ბ. დ. უზნაძემ ამ სათაურით: „ისტორიის მნიშვნელობა მეცნიერებაში“. ლექტორი კითხულობდა დალაგებითა და მშვენიერის ქართულ ენით, მხოლოდ მისგან ჩვენ უფრო ბევრს მოველოდით. სათაურად „ისტორიის შესავალი“ უფრო შეეფერებოდა რადგან თითქმის სულ ამაზედ ილაპარაკა. ლექტორმა აღნიშნა ისტორიის წარმოშობა და მისი თან და თანი განვითარება. მან უარჰყო მატერიალისტური ახსნა ისტორიისა. არა უთქვამს რა პიროვნების როლის შესახებ ისტორიაში და არც ისტორიულ ფატალიზმზე, რომელსაც ადგია ტალსტოი. ლექტორის აზრით ისტორიის მოვლენათა ახსნა შეიძლება პოზიტივისტურად, მაგრამ სამწუხაროდ ამ საინტერესო ადგილზედ შესწყდა ლექცია. დასასრულ კ. აბაშიძემ ილაპარაკა გრ. ორბელიანის შესახებ. მან განიხილა ევოლუციური მეთოდით და უარჰყო ბიოგრაფიული მეთოდი, რომელსაც ეხლა დიდი გასავალი აქვს ევროპაში, რაიცა თვითვე აღიარა. პატივცემულმა ლექტორმა გაიხსენა იონა მეუნარგიას, აზრი ილიას შესახებ. გაკიცხვით მოიხსენია მეუნარგიასაგან შედგენილი ბიოგრაფია გრ. ორბელიანისა. ლექტორის თქმით გრიგოლ ორბელიანი სულიერი მემკვიდრეა ალ. ჭავჭავაძისა და მისგან ნაანდერძევ რამანტიზმის უმწვერვალეს წერტილამდე ამყვანი. ბევრი ახალი რამ სთქვა ლექტორმა. ეს მეორე ლექცია მისი სახალხო სახლში. ვარგი იქნება, რომ მალმალე იკითხებოდეს ხოლმე ლიტერატურიდან ლექციები. ორივე ლექტორი, ბ. დ. უზნაძე და კ. აბაშიძე, ხალხმა ხანგძლივის ტაშით დააჯილდოვა და ბევრჯერაც გამოიხმო სცენაზედ.

**მიონა.**

## † ვიქტორ ყარამანის ძე ლოლელიანი

(ნეკროლოგი)

კერძო დეპეშამ სამწუხარო ამბავი გვაცნობა, ასტრახანის გუბერნიის ერთ-ერთ სოფელში სიცოცხლეს სამარადისოდ გამოეთხოვა საცოდავი ვიქტორ ყარამანის ძე ლოლელიანი. საცოდავი,—ვამბობ იმიტომ, რომ იგი სულ სხვა პირობებში დაედვა ზვარაკად იმ სამსხვერპლოზე, რომელიც ასე დაუნანებლივ ყოველდღიურად იწირავს საუკეთესო ადამიანებს. ვიქტორი ერთი „პოლიტიკური“ გადასახლებულთაგანი იყო. იგი აქ ორი წლის წინად დააპატიმრეს ტფილისში და თითქმის ერთი წლის ტყვეობა ერგო მეტეხის ციხეში. აქ ის კიდეც დასჭრეს შარშან მომხდარ სროლის დროს და ჭრილობამ დაკოჭლებული დასტოვა. მიუხედავად იმისა, რომ იგი საგრძნობლად დაავადმყოფდა მეტეხშივე, მაინც საჭიროდ დაინახეს არხანგელსკის გუბერნიაში მისი გადასახლება და ძალღონისაგან დაცლილი შარშან ზაფხულს გაისტუმრეს კიდეც ეგრედ წოდებულის „ეტაპით“. არხანგელსკში ავადმყოფობამ თანდა-თან განვითარება იწყო და ცივი, სამშობლოში უცნობი ჰავა საშინელის სისწრაფით სწამლავდა საბრალო ვიქტორს, მაგრამ ყოველმავე ცდამ, დაბრუნების შესახებ, ამაოდ ჩაიარა. ბოლოს როცა სიკვდილის საზარი ბრჭყალებიდან მისი გამოგლეჯა შეუძლებელი გახდა, „მართლ-მსაჯულებამ“ ასტრახანამდე მოაღწევინა, და, აი, აქ ჰპოვა სიცოცხლის მოტრფიალემ საუკუნო განსასვენი ალაგი.

დღემდე საიდუმლოებით მოცულია მისიანებისათვის, თუ რისთვის ერგო ვიქტორს ასეთი ხვედრი. ღარიბი ლეჩხუმელ გლეხის შვილი, მამის უკანასკნელ საშუალებით გაიზარდა და შვეიცარიაში უმაღლესი სწავლა დაამთავრა. საიდანაც საყურადღებო წერილებსა სტამბავდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. სამშობლოში იგი სულ რამოდენიმე დღე სცხოვრობდა დაბრუნების შემდეგ, და ამ ხნის განმავლობაში აბა რა უნდა ჩაედინა, ისიც ლეჩხუმში? სჩანს საცოდავი ნიშანში ამოღებული ყოფილა საზღვარგარედვე. განსვენებული მეტად გულკეთილი ადამიანი იყო და მისგან ბევრს მოელოდნენ როგორც მშობლები, ისე ნაცნობ-მეგობრებიც. ვიქტორი ზედ მიწევნით მცოდნე იყო საერთაშორისო ენისა (ესპირანტო) და ამ ენაზე სთარგმნა კიდეც სუმბათაშვილის „ღალატი“. ჰქონდა სხვა შრომებიც, რომელთა დასასტამბად იგი საგანგებოდ ტფილისში ჩამოვიდა, მაგრამ როგორც მას, ისე მის შრომასაც ბედმა უმუხთლა. ვიქტორ ლოლელიანში დაიკარგა გულწრფელი, ცოდნით აღჭურვილი მომავლის მოტრფიალე ადამიანი. ადამიანნი საცოდავნი არიან მისი მშობლებით, რომელთაც დაჰკარგეს უკანასკნელი იმედი მოხუცებულებისა. თითქოს მათ შვილს მიზნად აეღოს ნ. ბარათაშვილის სიტყვების განხორციელება: „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის, ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის: შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის მინდვრის და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის“...

**რ. ლეჩხუმელი.**

## მოწერილი ამბები

**ფოთი.** 12 ოქტომბერს მოხდა საბჭოს მორიგი სხდომა. ახალ საბჭოს მეორე სხდომაა ახალ საბჭოში და უკვე გულ-გრილობა ემჩნევა. ჩვენმა „მამებმა“ აქედანვე იწყეს დაუსწრებლობა. „საპატიო მიზეზად“ ალბად ის თუ ჩაეთვლებათ, რომ წვიმიანი დღე იყო.

სხდომა გახსნა ქალაქის თავის მოადგილემ ბ-ნმა მეუნარგიამ. პირველი საქმე იყო: საბჭოს მოსამზადებელ კომისიების არჩევნები, სადაც კანდიდატები შეთანხმებით იქმნენ წამოყენებულ და არჩეულნი.

შემდეგ გამგეობამ მოახსენა ქუთაისის გუბერნატორის წინადადება ქალაქის თავისა და გამგეობის წევრის არჩევნების დამტკიცების შესახებ.

გაირჩა სხვა საქმეებიც, რომელთა შორის საბჭომ მეტი ყურადღება მიაქცია შემდეგ საკითხებს: რა თანხა იქმნეს დანიშნული ქალაქიდან შესაწევად რომანოვების გვარეულობის სამასი წლის მეფობის სახელობაზე ტაძრის აგებისათვის. ამის შესახებ გამოითქვა სხვა და სხვა აზრი და ბოლოს გამგეობის მხრით იქმნა წამოყენებული შემდეგი მოსაზრება: რადგან ჩვენც გვესაჭიროება ასეთი შემწეობა (ტაძრის ასაგებად), უმჯობესი იქნება, რომ საქმე არ გავიფუჭოთ და ხელ-გაშლილი ვიქმნეთ, რათა ამით შემდეგში ერთი ათად მოვიმკით. საბჭომ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა გადიდვას ამ საგნისათვის ასი მანეთი.

მეორე უფრო მწვავე საკითხი შეიქმნა, ექსპორტიორ დრეიფუსისა და ახჩანაგობის თხოვნა, განთავისუფლებულიყო ფოთის ახლო-მახლო ნაპირებიდან შემოტანილი სიმინდი მეორეჯერ ბაჟის გადახდისაგან (ერთხელ იხდიან ბაჟს ნავთ-სადგურში შემოტანის დროს და მეორედ-კი გატანისას). ამ საკითხმა თითქმის ყველა აალაპარაკა. გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ხმოსნებმა: გაბუნიამ, ესაკიამ, გვალიამ, დამბაროვმა, ჭოჭუამ, კეშელავამ და სხვებმა. ცხარე კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა: ვინაიდან საბჭოს კანონში არ არის შედავათებზე არაფერი ნათქვამი, არამედ აქ ნათლად და გარკვევით არის მოხსენებული, რომ ბაჟი გადახდეს ყველას, როგორც შემომტანიდან, ისე გამტანიდ საქონელს და ეს კანონი—კანონად უნდა დარჩესო,—ამისათვის უარყოფილ იქმნას ზემო აღნიშნული თხოვნა.

რამდენად სამართლიანია საბჭოს ასეთი გადაწყვეტილება, ამაზე აქ არას ვიტყვით. კიდევ რამდენიმე წვრილმან საგნის განხილვის შემდეგ სხდომა დაიხურა. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის უწესრიგობა, რომელიც სუფევდა ამ სხდომაზე. ყველანი ერთად [illegible], ერთად ლაპარაკობდნენ, ისე რომ ნამდვილ ბაზრობას წააგავდა.

დროა, ამას მაინც დავახწიოთ თავი.

**ქრიქინა.**

—

**ქ. თელავი.** თავის თავად ცხადია, იქ არაფერი გაკეთდება, სადაც ქალაქის მამები მარტო სახელის კუდისთვის არიან, როგორც ჩვენს დალოცვილს თელავში. ზოგი ერთი მარტო კენჭისთვის იმყოფება, რომ ამა თუ იმ თანამდებობაზე თავისი კაცი გაიყვანოს, სხვა ზოგი-კი, გინდ მწყერსაც წაუღია, არაფერზე ინაღვლის.

ჩვენის ქალაქის რწმუნებულთა მოვალეობას შეადგენს თვეში ერთხელ რამდენიმე საათით დასწრონ ქალაქის სხდომებზე სხვა და სხვა საქმეების გადასაწყვეტად, მაგრამ ამასაც არ ესწრებიან. ხოლო ზოგი თავის დახლს მაღლა აყენებს, ქალაქის საქმეებზე. ქალაქის კეთილდღეობაზე ამის შემდეგ მეტია ლაპარაკი. თუნდაც ესწრებოდნენ და სხდომები იმართებოდეს, მაშინაც არ აწუხებენ თავს—მოურავს ბ-ნ თათუზოვს და არც იქნება იმის აზრის წინააღმდეგ რამე კითხვის გადაწყვეტა.

ჩვენმა „მამებმა“ ამ ბოლოს დროს ხომ სრულებით ხელი აიღეს თვით აუცილებელ საქმეთა განხილვაზედაც, უწყებულ სამოქალაქო დებულების ძალით, მოურავს მიანდვეს.

სწორედ ასეთი კითხვები იყო განსახილველად დაყენებული 21 სექტემბერს, სახელდობრ: კურდღელაურის ნაწილის შემოერთება, ქალაქის ადგილის გაყიდვა და სხვ. ხმოსანთა კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა და სხდომა 11 ოქტომბრისთვის გადაიდო, მაგრამ ამ დღესაც 15 ხმოსნიდან 7-მა ძლივს მოიყარა თავი. იცადეს 1 საათი და დაიშალნენ. ამისათვის ამ საღამოსთვის დანიშნულს საკრებს თვით მოურავი გადასწყვეტს და წარუდგენს დასამტკიცებლად ბ-ნ გუბერნატორს. ხოლო მოურავი, მაგალ. კურდღელაურის ნაწილის შემოერთების წინააღმდეგია სხვა და სხვა მოსაზრებისა გამო, ხმოსნების ერთი ნაწილი-კი ცდილობს ბის შემოერთებას, როგორც ქალაქის ნაწილისა და ერთი საუკეთესო კუთხისას. ეხლა მოურავს შეუძლიან, თავის აზრს გაამარჯვებინოს.

ალბად ამისათვის ორი ხმოსანი ბბ. იმხანიძე და ჭანტაშვილი, წერილით სთხოვენ მოურავს შეატყობინოს: ამ საკითხზე თავის აზრს წარუდგენს ბ-ნ გუბერნატორს, თუ შემდეგ სხდომისთვის გადასდებს? აგრეთვე ეს ორი ხმოსანი სთხოვს მოურავს,—ყველა ხმოსანს, ვინც კრებაზე არ გამოცხადდება, პასუხი მოსთხოვოს უწყებულ კანონის ძალით და შემდეგ კრებას მოახსენოს ხოლმე ამის პატივსადებ მიზეზის გამოსარკვევად.

**დავიწყებული.**

—

**კახეთი.** ყველამ იცის, რომ კახეთის ცხოვრების უმთავრეს წყაროს მევენახეობა შეადგენს, რადგანაც ადგილობრივი ჰავა და მიწის ნიადაგი ხელს უწყობს ვაზის მოშენებას და კარგის თვისების ღვინის მიღებას.

მართალია, კახელები ხვნა თესვასაც მისდევენ, მაგრამ მიწის სიმცირისა გამო იმდენი ჭირნახული ვერ მოჰყავთ, რამ თვითონ ეყოთ, ამისათვის ყოველ სელიწადს უხდებათ რუსეთიდამ შემოტანილ პურის ყიდვა.

კახელი გლეხის ოჯახის კეთილ დღეობა დამოკიდებულია ღვინის მოსავალზე. თუ მისი მოსავალი კარგია და ფასი აქვს, არა უშავს-რა, წლის წლობამდე იოლად მიდის, წინააღმდეგ შემთხვევაში-კი მისი ცხოვრება აუტანელი ხდება და ნახევრად მშიერ მწყურვალი ძლივს იბრუნებს ხელსა.

საუბედუროდ წელს ღვინის მოსავალი კახეთში საზოგადოდ მდარეა. თუმცა ზოგს ადგილებში შუათანად მოვიდა, მაგალითად ქვემო მხარეს, მაგრამ ზემო მხარეს ნაკლებია და გაღმა მხარეს-კი სულ მცირედი.

ღვინის მოუსავლობის მიზეზად ცვალებადი ამინდი უნდა ჩაითვალოს, გაზაფხულზე გამუდმებულმა ავდრებმა გამო თავის დროზე ვერ [illegible] ზოგი სოფელი ძრიელ დაზიანდა, ზაფხულში ხანგძლივმა გვალვამ ძრიელ

---

ტში ორასამდი ქართველი იქნება. თუ ვამჩნევთ ახლად ჩარიცხულ სტუდენტობის სიმცირეს, ეს კერძოდ ქართველობაზე არ ითქმის. შედარებით ახლად კურს-დამთავრებული ქართველი ბევრი ჩამოვიდა პეტერბურგს, მეტნავად ქუთაისისა და ტფილისის ქართულ გიმნაზიებიდან და რამდენისამე გამონაკლისით (ორი მედიკურს აკადემიაში მიიღეს, ოთხიოდე პოლიტეხნიკურში და სხვა) ყველა უნივერსიტეტში შევიდა. პროვინციურ უნივერსიტეტიდანაც ბლომად გადმოვიდნენ. რაოდენობის მხრივ ფაკულტეტებში ასე არიან განაწილებულნი: იურიდიულში ყველაზე მეტი, შემდეგ ფიზიკო-მატემატიკურსა, მერე საბუნებისმეტყველოსა, შემდეგ ისტორიულ ფილოლოგიურსა, სულ მცირე კი აღმოსავლეთის ფაკულტეტის ქართულ-სომხურს განყოფილებაში, დაახლოვებით შვიდი, რვა კაცი. ერთი დიდი ნაკლი ემჩნევა ჩვენს ახალგაზრდობას, სახელდობრ ის, რომ უმაღლეს სპეციალ სასწავლებლებში ნაკლები შედის, არის სპეციალი სატეხნიკო სასწავლებლები, სადაც არც ერთი ქართველი არ არის. აგრონომიულ ნაწილში მცირე რიცხვია. ალბად ეს გულგრილობა აიხსნება იმით, რომ ხანგრძლივი ჯაფაა საჭირო, როგორც შესასვლელად, ისე სამეცადინოდ სპეციალ სასწავლებლებში.

ქართველები რომ წრეულს პეტერბურგის უნივერსიტეტს მიაწყდნენ, ამით ერთგვარი სამსახური გაუწიეს ებრაელებს. ებრაელთათვის არსებობს საპროცენტო ნორმა, რის მიხედვითაც იღებენ უკანასკნელ უნივერსიტეტში. წრეულს უნივერსიტეტში შემსვლელი მცირე იყო, ებრაელებიც ცოტანი მიიღეს—43 კაცი. აღსანიშნავია, რომ ორმოცდა სამიდან 35 ოქროს მენდლიანია. სადამდის მიდის ებრაელ ახალგაზრდობის ტანჯვა! წარმოუდგენელ გონებრივ ჯაფისა და შევიწროების შემდეგ ძლივს ეღირსებიან სიმწიფის მოწმობას, მაგრამ უმაღლეს სასწავლებელში არ იღებენ. როდესაც ქრისტიანთაგან და მაჰმადიანთაგან საშუალო რიცხვით „სამიან“ მოწმობით იღებენ, ისინი ოქროს მენდლებითაც ძლივს ხვდებიან. უცნაურ საპროცენტო ნორმის შედეგია ქრისტიან და ებრაელ სტუდენტთა ინტერესების სხვა-და-სხვაობა. პირველთ კონკურსი აფრთხობს, მეორეთ კი ახარებს, რადგან კონკურსში მეტი რიცხვი ებრაელთა მოხვდება. საოცარი უსამართლობაა, მაშ რა არის,—უნივერსიტეტი ცალიერია და მათ კი არ იღებენ. ამ ნიადაგზე პეტერბურგში თვით-მკვლელობა კი მოჰხდა. ამითი აიხსნება, რომ ქრისტიანულ სარწმუნოების მიღებამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო. მაგრამ ებრაელ ახალგაზრდობას არც მამა-პაპურ სარწმუნოების ღალატი ჰშველის; ბოლო ხანს გაქრისტიანებულ ებრაელთ უფლებანი არ ემატებათ. მიუხედავად ებრაელთა სიმცირისა, პეტერბურგის უნივერსიტეტში, მათი გავლენა სტუდენტთა შორის საგრძნობია. საუკეთესო მომზადებულები ებრაელებია, სტუდენტთა კრებებზე მჭევრმეტყველურ შინაარსიან სიტყვების წარმომთქმელები—ებრაელებია; მომქმედი, მეცადინე სტუდენტები—ებრაელებია. და ასეთ ნიჭიერს, ენერგიით აღსავსე ერს გზას უღობავენ და საშუალებას არ აძლევენ განავითაროს სულიერი სიმდიდრე. ეს უპირატესობა 6 ღვინობისთვის საერთო სტუდენტურ კრებაზეც დაეტყო.

ეს კრება გამართულ იყო განსვენებულ მურომცევის პატივსაცემად. საუკეთესო სიტყვები ებრაელებმა წარმოსთქვეს. მურომცევის სიკვდილი მსწრაფლ გავრცელდა უნივერსიტეტში და სამ საათზე დანიშნულმა კრებამ დიდძალი სტუდენტობა მიიზიდა. არ დაესწრნენ აკადემიურ კორპორაციის წევრნი, მოკლედ რომ ვთქვათ, ჭეშმარიტი რუსები. ტრიბუნიდან გულწრფელი, გრძნობიარე სიტყვები ისმოდა სხვა და სხვა პარტიულ მიმდინარეობის წარმომადგენლებისაგან, რომელნიც განსვენებულ მეცნიერს ახასიათებდნენ, როგორც ინტელიგენტ-მოქალაქეს, გამოჩენილ მოაზრესა და საზოგადოებრივ ფითი შემეცნების საქმეში დაუღალავს მუშაკს. ახალგაზრდობა ორატორებს ცხარე ტაშის ცემით აჯილდოებდა. სიტყვების შემდეგ კადეტ-სტუდენტების წარმომადგენელმა წაიკითხა განსვენებულის ოჯახისთვის გასაგზავნად ტელეგრამის პირი. აქ მოხდა მცირე შეუთანხმებლობა. სტ. კარლმა ტელეგრამის ტექსტში შესწორება სცნო საჭიროდ. საქმე იმაში იყო, რომ კადეტების ტელეგრამა მურომცევის სიკვდილის გამო უცხადებდა ოჯახს თანაგრძნობას და დასძენდა, რომ „ვეცდებით განვახორციელოთ, რაც ეცალებოდა და ვერ განახორციელა პირველმა სათათბირომაო“. სიტყვა სათათბიროს“ შესახებ ასტყდა კამათი. სტ. კარლი ითხოვდა შეცვლილიყო ტელეგრამა ასე: „რომელიც ვერ განახორციელა რუსეთის რევოლუციამო“. საქმე მიდგა საზოგადო კრებაზე. კრებამ მიიღო ეს შესწორება. ამ გადაწყვეტილებით პეტერბურგელმა სტუდენტობამ გვიჩვენა, რომ რადიკალური მიმართულება მასში ჯერ არ გამქრალა. შეგროვილ იქმნა ფული ტელეგრამის გასაგზავნად და გვირგვინის საყიდლად. დასასრულ კრებამ პრეზიდიუმს დაავალა—წარმომადგენლობა ეკისრა და უნივერსიტეტის სახელით დასწრებოდა მიცვალებულის დამარხვას.

**ვლ. ცაგ—ია.**

შეაწუხა გვნახები და ხშირმა ქარებმაც დიდი ზიანი მიაყენა. აგვისტოსა და სექტემბრის მიუხედავად, აქვე ჩვენს გვერდით, საუფლისწულო მამულებში ძლიერ კარგი მოსავალი მოვიდა. სექტემბრისაგან ვენახს მის წინააღმდეგ საბრძოლველი მორტირები (ზარბაზნები) იცავს, თუმცა აგდარს, გვალვასა და ქარს ვერ შეაყენებს ეს იარაღი, არც —ობს (მილდიუს) და ნაცარს. მართალია კახელი ვენახის მოვლა.თოშენებაში ძალიან გავარჯიშებულია, მაგრამ შეწამლვა მოვლაში კიდევ ცოდნა აკლია. წელს ვინც 7 მაისამდე შეწამლა ვენახს კიდევ კარგი მოსავალი მოუვიდა, ვინც გვიან და არაფერი მიუღია. არის დრო, როცა სწორედ საჭირო წამლის შესხმა, ჩვენმა გლეხ-კაცმა-კი არ იცის, და თუ დრო გადაუვიდა, მაშინ უქმად მიდის ხარჯი. წამლის—შაბიამნის კარგად დაყენებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიექცეს. აღვილიცაა ამ ნაკლის თავიდან აშორება, თუ-კი გაზაფხულზე, როცა წამლის დრო მოატანს, გაიმართება ლექციები, თუ ყოველ სოფელში არა, რამდენსამე რაიონში მაინც, და ინსტრუქტორები პრაქტიკულად შეასწავლიან კახელ გლეხს როგორც წამლის დაყენებას, ისე შეწამვლის დროს.

ვინ უნდა ითავოს ეს საქმე? რასაკვირველია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ, მაგრამ ეს საზოგადოება მაშინ, როცა განჯის და ერევნის გუბერნიებში ხშირადა ჰგზავნის აგრონომ— ინსტრუქტორებს ხალხში საჭირო ცოდნის გასავრცელებლად, კახეთს ერთხელაც არ იგონებს, თითქოს ეს მის სამოქმედო ფარგალში არ შედიოდეს.

**ეული.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** სამშაბათს, 19 ოქტომბერს, ბ-ნ ა. ბ. შახინოვის გამგეობით ქართ. დრამატიულმა საზოგადოებამ გამართა სალიტერატურო საღამო—მეჯლისი, რიცხვით მეორე. სალიტერატურო საღამოს წინ მიუძღოდა ოპერეტი „მეჯლისი იტალიელებითურთ", რომელიც გაცილებით უფრო სუსტად იქმნა შესრულებული, ვიდრე წინად. საზოგადოდ ჩვენი მსახიობები ძალიან ცუდად მღერიან, მაგრამ სამშაბათს განსაკუთრებით უფერულად ჩაატარეს. სალიტერატურო ნაწილიც ძალიან სუსტად იყო შედგენილი. მსახიობები გაცილებით უკეთესად უნდა კითხულობდნენ. ამას გარდა, ვერც ერთს მათგანს ვერ ამოურჩევია კარგი ლექსი. მართალია, გალექსილმა პუბლიცისტიკამ საზოგადოების მხრით ტაში გამოიწვია, მაგრამ ეს კიდევ ძალიან მცირე საბუთია მის ავ-კარგიანობის დასამტკიცებლად.

სალიტერატურო საღამოებს მხოლოდ მაშინ მიეცემა მნიშვნელობა, თუ წასაკითხად მართლა მხატვრულ ნაწარმოებთ აირჩევენ და წაკითხვითაც ხელოვნურად წაიკითხავენ. სამშაბათს არც ერთი იყო და არც მეორე. ამას გარდა ზოგიერთს მსახიობს დაზეპირებულიც კი არა ჰქონდა ლექსი ზეპირად. სუფლიორის დახმარებით დეკლამაცია, რა თქმა უნდა, ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს მსმენელზე. ბ-ნ ზარდალიშვილს ხომ სუფლიორმაც ვერ უშველა, და ერთი საუკეთესო ლექსთაგანი ჩვენის დიდებული პოეტისა, „მერანი" ჯვარს აცვა, საწამებელში ჩააგდო. ბ. ზარდალიშვილო, ნ. ბარათაშვილი მეტს პატივისცემას მოითხოვს, და მისი საუკეთესო ნაწარმოების ისე წაკითხვა, როგორც თქვენ წაიკითხეთ, სირცხვილია, მეტი რომ არა ვსთქვათ-რა.

სალიტერატურო საღამოს შემდეგ დასდგეს მხიარული კომედია „ბიუროკრატის სიზმარი". კ. მესხი ბიუროკრატიას როლში კარგი იყო. ხალხი შედარებით წინანდელ დღეებთან, ბევრი დაესწრო. **Homo.**

—

**სომხური თეატრი.** 18 ოქტომბერს სომხურ დრამატიულ საზოგადოების დასმა, სეზონის გასახსნელად, არტისტულ თეატრში წარმოადგინეს შირვანზადეს 4 მოქმედებიანი პიესა „ნამუსისათვის".

ჩვენ არ განვიმეორებთ ამ პიესის შინაარსს, ვინაიდან მას ქართველი მკითხველი უკვე იცნობს.

ელისბარიანის როლს თამაშობდა მსახიობი აბელიანი, რომელმაც კარგად დაგვისურათა ძუნწი, მატყუარა ვაჭრის ტიპი.

ცუდი არ იყო მისის შვილის, სურენას როლში ბ ნი არმენიანი, თუმცა მან ამ როლში შეიტანა პარიზის bon vivant-ის ხასიათი, რაც უადგილო იყო ამგვარ ბაქოელ კაპიტალისტის შვილის როლისთვის.

ქ-ნ დურიან-არშენიანმა კარგად შეასრულა გულკეთილი მარგარიტას როლი, თუმც მას ხმა უშლიდა. დანარჩენი მსახიობები ხელს უწყობდნენ ანსამბლს.

წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო.

მომავალ ორშაბათს წარმოადგენენ ბერნშტაინის „ქურდს". **Artemins.**

## უცხოეთი

**რევოლუციის მოლოდინი საბერძნეთში**

როგორც გაზეთებიდან სჩანს, საბერძნეთის მშვიდი და მყუდრო ცხოვრება ირყევა. იქ რაღაც არა ჩვეულებრივი ამბები ხდება. მთელს საბერძნეთს მღელვარება მოსცვებია; დაჟინებით იძახიან, საბერძნეთში რევოლუცია მზადდებაო, თუმცა დიპლომატიური წრეები ყოველს ღონესა ხმარობენ, რომ ეს ხმები სათავეშივე ჩაჰკლან და ხალხი დაარწმუნონ, რომ საბერძნეთში საიმისო არა მომხდარა-რაო.

მღელვარება შემდეგმა გარემოებამ უფრო გააძლიერა: 14 ოქტომბერს, მეფემ ბრძანება გამოსცა, რომლითაც დაითხოვა ნაციონალური კრება. დეპუტატთა უმრავლესობა ბრძანებას არ დაემორჩილა და პარლამენტში ჩვეულებრივად სხდომა განაგრძო. მთავრობამ პარლამენტის შენობას ჯარი შემოარტყა, მაგრამ ამ საშუალებამ დეპუტატებზე არ გასჭრა. დეპუტატებმა პარლამენტის შენობა მხოლოდ შუაღამისას დასტოვეს.

ათინიდან ეს ამბავი მთელს საბერძნეთს მოედო და ხალხი, არა თუ არ დაამშვიდა მთავრობის საქციელმა, პირიქით, უფრო მეტად გააძლიერა რევოლუციური ცეცხლი. მღელვარება მოედო ოფიცერთა ერთს ნაწილს, რომელიც საჯაროდ იღებს მონაწილეობას რესპუბლიკურ კრებებში. ათინაში იმართება აუარებელი კრებანი, სადაც ხალხი თხოულობს „საბერძნეთის დიდს რესპუბლიკას".

მთავრობა, ტიტა არ იყოს, საგონებელში ჩავარდა. ველარ ენდობა ვერც ფლოტსა და ვერც ჯარს.

ბერლინში მიღებულ ცნობებით, საბერძნეთის მთავარს მინისტრს ვენიზელოსს კიდევ იმედი აქვს საქმე მშვიდობიანად ჩაიაროს. იგი თურმე დარწმუნებულია, რომ მთავრობა აუცილებლად გაიმარჯვებს დეპუტატების მომავალ არჩევნებზე. მას სჯერა, რომ პარლამენტის დათხოვნამ ხალხზე კარგათ იმოქმედა, რაიცა სჩანს იქიდან, რომ ბირჟაზე საბერძნეთის ფასიანმა ქაღალდებმა აიწიაო.

ძნელი სათქმელია ამ ჟამად, რით გათავდება საბერძნეთში ხალხის მღელვარება. შესაძლებელია, რომ საბერძნეთის დღეს-ხვალ დიდმა ქარტეხილმა გადაუაროს და მთლად შესცვალოს დღევანდელი სისტემა იქაურ მმართველობისა. თუ დღეს ეს არ მოხდა, ის კი აუცილებელია, რომ ხალხის მოზღვავებული გულისთქმა უნაყოფოდ მაინც არ ჩაივლის და ეს ამბები წაუშლელსა და შესამჩნევ კვალს დასტოვებს საბერძნეთის პოლიტიკურს ცხოვრებაში.

**ოსმალეთის ულტიმატუმი.**

ოსმალეთის მთავრობამ სპარსეთისას ულტიმატუმი გაუგზავნა, თუ 45 დღის განმავლობაში არ დააკმაყოფილებთ ოსმალეთის ყველა ქვეშევრდომთა მოთხოვნილებას, იძულებული ვიქმნებით სპარსეთში ჩვენი ჯარი შემოვიყვანოთო.

## სასამართლო

**ყაჩაღის ტალახაძის საქმე.**

1909 წლის 8 მაისს, საღამოს 11 საათზე სოფ. ხაშურში ქუჩაზე მიდიოდა გორის მაზრის ქვიშხეთის მამასახლისი გიორგი სავანელი თავისის მცველის ხუსი აქმბარიევის თანხლებით. უცებ სავანელს შესახვევიდან ვიღაც უცნობებმა სამჯერ ესროლეს რევოლვერი და ზურგში დასჭრეს

სავანელს მოუხედნია ამ დროს უცნობებისკენ და მათ შორის უცვნია ცნობილი ყაჩაღი ნიკოლოზ ტალახაძე და სოფელ ძვერის მცხოვრები დათიკო ჯავახიშვილი. მესამე მსროლელი სავანელს ვეღარ უცვნია, რადგან იგი მიწაზე დაცემულა უგონოდ. მას მხოლოდ-ღა ის დახსომებია, რომ მისი მცველიც ესვროდა უცნობთ, ხოლო დასჭრა ვინმე თუ არა არ იცის. უცნობნი რევოლვერებით ყოფილან შეიარაღებულნი.

როდესაც სავანელი გონს მოსულა, თავისი მცველი მკვდარი უნახავს, ხოლო თვითონ დაჭრილი ყოფილა მარცხენა ბეჭსა და გულში მარცხენა მხარეს.

დათიკო ჯავახიშვილი დღესაც არ შეუტყვიათ, ხოლო სოფელ გორის მაზრის ყვიბისის მცხოვრები ნიკოლოზ ტალახაძე ამ წლის თებერვალს ბათუმში დააპატიმრეს.

ტალახაძე და მისი ბრბო დიდხანს დათარეშობდა გორის მაზრაში და ბევრი ბოროტ-მოქმედებაც აქვს ჩადენილი. ბრბოში სხვათა შორის ყოფილან პავლე ლაბაძე, გიორგი ქაჩიაშვილი, ეიუბ-პირმაჰმად-ოღლი და ქრისტეფორე ცაგურიშვილი (ფორია).

სამშაბათს, 19 ოქტომბერს, კავკასიის სამხედრო სასამართლომ მათ გადაუწყვიტა ყოველივე უფლების ჩამორთმევა და ჩამოღრჩობა.

## რუსეთი

**შავრაზმელნი.**

14 ოქტომბერს შავრაზმელებს ერთი ალიაქოთი და არეულობა მოუხდენიათ ოდესის სინემატოგრაფში, სადაც თურმე აჩვენებდნენ სურათს: „ს. ა. მურომცევის დამარხვას". როგორც კი დაუნახავთ მურომცევის სურათი შავრაზმელთა ჯგუფს, რომელთა შორის ყოფილან ქალაქის გამგეობის მოსამსახურენი და შავრაზმელთა გაზეთის რედაქტორი, ყვირილი, სტვენა და აურ-ზაური აუტეხნიათ. „მოაშორეთ ეს სურათი", „მოაშორეთ ეს ძაღლი" ყვიროდნენ შავრაზმელნი. ხალხს შავრაზმელთა წინააღმდეგ დიდი პროტესტი განუცხადებია, მაგრამ ჩხუბის ასაცილებლად სურათის ჩვენება პოლიციას შეუწყვეტია. უწესობის ჩამდენნი პოლიციას არა თუ არ დაუპატიმრებია, პირიქით მეორე დღეს ქალაქის უფროსს საგანგებო განკარგულებით ყველა სინემატოგრაფისთვის აუკრძალავს ამ სურათის ჩვენება.

**სტუდენტების დოკუმენტების შემოწმება.**

რადგან რამდენიმე შაგალითი იყო იმისი, რომ ზოგიერთი პირი უმაღლეს სასწავლებლებში შედიოდა სიმწიფის ყალბის მოწმობით, პეტერბურგის სამთო ინსტიტუტში სტუდენტთა დოკუმენტები შეუმოწმებიათ. გამორკვეულა, რომ ორს სტუდენტს სიმწიფის მოწმობა ყალბი ჰქონია და ისე გაუთავებია სასწავლებელი. სამოსწავლო უწყებას გადაუწყვეტია, ეს სტუდენტები აღარ დატოვოს და ინსტიტუტის გათავების დიპლომები არ ჩამოართვას. მოკლე ხანში სტუდენტების დოკუმენტებს შეამოწმებენ სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიაც.

## განცხადებანი


**ექიმი** ვ. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—205)

◀ მშობიარეთათვის ▶

**თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.**

ოლგას ქ., ბაბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასაჟი ყოველ-დღე დილის 6—დან ნაშუადღევის 1 ს. (თ.—711-15)

**დოქტ. ნავასარდიანისა**

უოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი**: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**: 1—1½ ს. შინაგან- და საბავშვო.

**ბ. გ. აგაბაროვი**: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი**: 6 — 6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი**: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი**: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**გამოცდილი მასწავლებელი**

განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტეხნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, ამზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც —პ ა ნ ს ი ო ნ შ ი, რომელნიც არ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლაში მონაწილეობას მიიღებს სხვა მასწავლებლებიც).

მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. საღ. 5 –8 საათამდე. მეცადინეობა იქნება ორ ალაგას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავჭალის ქუჩაზე, ვაგზლის პირდაპირ.

ა დ რ ე ს ი: Авчальская ул. с. Д. N 133, кв. 4. (въ Нахаловкѣ противъ вокзала). (თ—152—3)

**ტფილის. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან.**

1895 წელს, 25 მაისს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს აზრის თანახმად, ტფილისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამაარსებლების მიერ ბანკას მოსაწყობად შეტანილი ფულის უკან დაბრუნების შესახებ, და 1910 წლის მაისს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესდებათა მე-7 მუხლის ძალით, ვაცხადებთ, რომ ის პირი, ვის ხელშიაც გადავიდა გადაცემითის წარწერით კვიტანცია იმისი, რომ ხორეშან აზნაუროვისამ ბანკას დასაარსებლად შეიტანა ოთხას-სამოცდა-ცხრა მანეთი და 28 კაპ. (469 მ. 28 კ.), მოვალეა ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს წარუდგინოს ეს კვიტანცია ამ განცხადების დაბეჭდვიდან ექვსი თვის განმავლობაში; წინააღმდეგ შემთხვევაში ამ პირს სრულიად. წაერთმევა უფლება ამ ფულის მიღებისა გადაცემითის წარწერით და ეს ფული ჩაირიცხება ზემოხსენებულ აზნაუროვის მემკვიდრეთა სასარგებლოდ. (3—154—2)

საყმაწვილ. სურათებიანი ჟურნალი

**„ნაკადული"**

(წლიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელისმომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ. **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის). 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი» —ზღაპარი ევალდისა; 2. «მარჯნები».— ზღაპარი ევალდისა; 3. „თერმეტი"—და ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ანბანი კუბიკებზე.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ღრივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად —შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის" რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე, 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთ ქარვასლაში).

**ტფილისის კანტორა**

= აუწყებს ბ.ბ. მსყიდველებს, რომ გვხსნით შაქრის სავაჭრო =

**ხარკოვის ამხანაგობისა შაქარ-რაფინადის ქარხნისა**

ა დ რ ე ს ი: ტფილისი, ფრეილინის ქ. სახლი № 3, ტელეფონი 567. საწყობი ველიამინის ქუჩაზე, სახლი № 12. **ა. გ. სნეჟკოვი.** (10—144—5)

**ტანისამოსის მკერავი ი. ნ. სვანიძე.**

ტფილისი, ფოსტის ქ., სახლი ზუბალაშვილისა, № 6.

ამით აუწყებს თავის პატივცემულ შემკვეთებლებს, რომ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელეთა ფორმის ტანისამოსისათვის რუსეთისა და საზღვარ-გარეთის განსაკუთრებით სახელ-განთქმულ ფაბრიკებისაგან შევიძინე დიდძალი მაუდეულობა. ყველა ტანისამოსს ჰკერენ გამოცდილი ხელოსნები

◀ **ჩემის ხელმძღვანელობით** ▶

**ყველა დაკვეთილი ტანისამოსი იკერება სუფთად და კეთილსინდისიერად.** (20—127—4)

**ხილეულობის, ხელოვნური მინერალური და სამკურნალო წყლები**

**მ. ლაღიძისა და ამხ.**

**მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წვნითა და საუკეთესო ხილეულის შარბათით, გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.**

წყალი მზადდება გაუმჯობესებულ მანქანებით სპეციალისტის მუდმივის ხელმძღვანელობით.

◀ **წყლების კარგი ღირსებისათვის ქარხანა დაჯილდოვებულია ოქროსა და ვერცხლის მენდლით.** ▶

**ქარხნები:** ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე ტელეფ. № 411. ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე. (20—139—3)

**საბუღალტერო კურსები**

**ტფილისი, სანაპირო ქუჩა, ვერის ხიდთან № 19.**

**ი. ფონ-ბრენნერისა,**

(სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტისაგან და ფინანსთა სამინისტროს სასწავლო განყოფილებისაგან ყველა საკომერციო სასწავლებელში სახმარებლად მოწონებულ სახელმძღვანელოების ავტორისა).

კლასსები დაარსებულია 1890 წ. და ცნობილია სამოსწავლო მთავრობის მიერ.

კლასები აძლევენ სპეციალურ საკომერციო მომზადებას ორივ სქესის პირთ, ვისაც ჰსურს მიიღოს ადგილი ბუჰჰალტერის, კორესპონდენტის, ანგარიშთა მწარმოების აგენტისა და სხვა.

კლასსებში ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) **ბუჰჰალტერიას** (ორმაგი, იტალიური) და სხვა სისტემები, საგანგებო ანგარიშების წარმოება: საბანკო, საფაბრიკო, საქალაქო და საერობო საბჭოების, არჟის მონოპოლიის, სახაზინო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სწავლება დაყენებულია პრაქტიკულად და მოსწავლენი პირველ გაკვეთილიდანვე ეჩვევიან საკუთრივ აწარმოონ წიგნები. 2) **კომ. არითმეტ.**— საბანკო, საქონლისა, სავექსელო და სხვა ანგარიშებისა. 3) **კორესპონდენციას** — კომერციულ წერილების შედგენა საბუჰჰალტერო სწავლის, კომერციულ არითმეტიკის და სავაჭრო კანონების მიხედვით, 4) **კალლიგრაფიას**—ხელის გასწორებას სხვა და სხვა ხასიათის შრიფტების შესწავლას: 5) **კანონდებას**—სავექსელო, საგერბო, სამრეწველო, საკრედიტო და სხვა წესდებათა შესწავლას. 6) **საწერ მანქანებზე წერას**; მოსწავლეთა განკარგულებაში იმყოფება 10 სხვა და სხვა სისტემის მანქანა, რომლებზედაც თავისუფალ დროს შეუძლიანთ თავისი სამუშაო გაიკეთონ. ამასთანავე ტეხნიკოსის ზედამხედველობით შეისწავლონ ტეხნიკა და მანქანების მექანიზმი' 7) **საქონლის ცნობას,**—გააცნობს მოწაფეებს ადგილობრივ ბაზრის უმთავრეს საქონლის ქიმიურ შედგენილობას და იმის თვისებათა გამორკვევას. ამ მიზნისთვის კლასსებს საგანგებო კაბინეტი აქვს მოწყობილი. 8) **ანგარიშის ჩოთქზე**—არითმეტიკულ და ალგებრაულ ამოცანების კეთებას. განმარტივებული და ამერიკული წესები, ყველა არითმეტიკული მოქმედებანი და ამოცანების კეთება მთელის კურსის განმავლობაში წარმოება მხოლოდ ჩოთქზე. მოსწავლეთა საერთო და საგანგებო განვითარებისათვის მოწყობილია ბიბლიოთეკა საუკეთესო სახელმძღვანელოებით სასწავლო საგნების ლიტერატურიდან. მოსწავლეებს წიგნები შინ წასაღებადაც ეძლევათ.

კლასსებში კურს დამთავრებულთ უსასყიდლოდ შეუძლიანთ იქონიონ **პრაქტიკა** ი. ფონ-ბრენნერის სატეხნიკო და სავაჭრო—სამრეწველო ბიუროს კანტორაში, რაც, უეჭველია, დიდად სასარგებლოა მოსწავლეებისათვის.

კლასები შესდგება სამის განყოფილებისაგან: 1 განყოფილებაში მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნენი, 2-ში—საქალაქო ან საუკლასიან საშუალო სასწავლებელში კურს დასრულებულნი. და მე-3-ში—ბუხალტერის და კომერციულ არითმეტიკის პრაქტიკული მცოდნენი. დასაწყისი სწავლის 15 სექტ. თხოვნები მიიღება და ცნობები მიიცემა კლასსების კანცელარიაში, ტფილისში, სანაპირო ქუჩაზე, ვერის. ხიდთან, საკუთარ სახლში N 19 ან სერგიევის ქუჩაზე N 4. კანცელარია ღიაა ყოველ.-დღედილის 9 ნ 1—ამდე და საღამოს 5—დან 8 საათამდე. ტელეფონი N 929 და 1044 (20—ბუხ—20)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობისა

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების მაღაზია**

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა). **ხიზილალა** ახალი, (Зернистая).

— პარკისა და კოლოფებით —

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები**

**მიღებულია ღვინის ორაგული** (სიომგა) და წითელი ხიზილალა (Кетовая). (წ.—128—10)

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა